1877—1894

№ 170

ოთხშაბათი, 10 აგვისტო 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 | — | 6 | . . . | 6 | — |
| 11 | . . . | 9 | 50 | 5 | . . . | 5 | 50 |
| 10 | . . . | 8 | 75 | 4 | . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . | 8 | — | 3 | . . . | 3 | 50 |
| 8 | . . . | 7 | 25 | 2 | . . . | 2 | 75 |
| 7 | . . | 6 | 50 | 1 | . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 170

ოთხშაბათი, 10 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## ჯორჯიკიასი

სასწავლებელ-პანსიონში (ქუთაისში) 400 მან., ხარჯის გარდა, მიეცემა წლიურად სემინარია ანუ ინსტიტუტ გათავებულს, რომელიც იკისრებს ამ სასწავლებლის მასწავლებლობას და აღმზრდელობას.

ამ სასწავლებლის პანსიონში თვიურ გადასახადად დაწესებულია 15 მან, როგორც გიმნაზია და პროგიმნაზიის მოსწავლეთათვის, რომელნიც ამ სასწავლებლის პანსიონში ბინას იქონიებენ, აგრეთვე იმათათვისაც, რომელთაც მომზადება სურთ სხვა-და-სხვა სასწავლებელში. მოსიარულეს თვიურად გადახდება 5 მან. დილა-სალმოს სწავლისათვის.

ყმაწვილების მშობლებმა, რომელნიც მუდამ ქუთაისში არ სცხოვრობენ, უნდა წარუდგინონ სასწავლებელს ისეთი კაცი, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს; იგი ვალდებულ იქნება ყმაწვილის ავადმყოფობის დროს, ან სხვა შემთხვევაში, როცა მას სასწავლებელი მოიწვევს, მშობლების მაგიერობა გასწიოს.

( —1626—2)

ტფილისი, 10 აგვისტო

—

ჩვენის ქვეყნის განაპირა ადგილებიდგან და, ასე წარმოიდგინეთ, ისეთ ადგილებიდგანაც-კი, როგორიც, მაგალითებრ, კავკავი, ბათუმი და სოხუმია, არა ერთხელ მოგვსვლია საჩივარი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მღვდელი ქართველი არა გვყავს და, ან თუ გვყავს, ქართულად არა სწირავსო. საქართველოს ექსარხოსის კანცელარიასაც არა ერთხელ მისვლია თხოვნა სხვა-და-სხვა ადგილის ქართველ მრევლისაგან, რომ გთხოვთ დაავალოთ ჩვენს საეკკლესიო კრებულს, ქართულადა სწიროს და მართლ-მადიდებელთა სარწმუნოებრივი ქადაგება-მოძღვრება ჩვენს სამშობლო ენაზედ გვაგონოს, რათა გულის ხმა ვყოთ სავსებით ყოველი მისი სიტყვა და აზრიო.

ნამდვილად არ ვიცით, მაგრამ ეჭვიც არა გვაქვს, რომ ამისთანა სამართლიანი თხოვნა მრევლისა მწყემსთ-მთავრის მიერ ყოველთვის შეწყნარებულ იქმნებოდა. მართლაც, იმაზედ უსამინელესი რაღა იქნება, როდესაც ადამიანი ეკკლესიაში, ამ ღვთის სახლში, სასოებით აღსავსე გულით შედის, უნდა ყოველ დღიურის ცხოვრებით აჩქროლებული გული საეკკლესიო გალობითა და საღმრთო წერილის მოსმენით დაიწყნაროს და დაიმშვიდოს, და იქ-კი ლოცვა-გალობა სულ სხვა, მისთვის გაუგებარს, ენაზედ სწარმოებს, იმ ენაზედ, რომელიც იმის ყურს არ ესმის, იმის გულს არა სწვდება, იმის სულს არ ატკბობს, არ ანუგეშებს. ევედრება სასოებით ეფალს და ღვთის-მსახურნი-კი სხვა ენით აძლევენ პასუხს იმის ვედრებასა და აჯას, ყოვლად შემძლეს მიმართ აღვლენილს.

ჩვენა გვგონია, რომ ზემოხსენებულს სამართლიანს სურვილს მრევლისას წინ ვერავითარიმე გარემოება ვერ გადაეღობებოდა, რადგან სარწმუნოების სიწმიდის წინაშე ყოველივე უნდა სდუმდეს და ყოველმავე გზა დასთმოს. კერძოდ ერთს დროს ხმაც-კი გაისმა, ვითომ სასულიერო მთავრობამ აღუკრძალა მღვდლებს ქართულს ენაზედ შეასრულონ ღვთის-მსახურება ქართულს სამრევლოებშიო და, როგორც გვწერდნენ, ზოგიერთი მღვდლები ამ განკარგულებით იმართლებდნენ კიდეც თავს, როდესაც მრევლი სჩიოდა, ქართულს წირვა-ლოცვას დაგვანატრულეს, სხვა ენაზედ გარდახდილ ღვთის მსახურებისა არა გვესმის-რა და საკვირველია, რად უჭირდება ქართველს მღვდელს ქართულად გარდახდა ღვთის-მსახურებისა ქართველის მრევლისათვისაო?!.

ჩვენ ასეთი გამართლება თავისა ყოველთვის ყოვლად შეუსაბამოდ, შეუწყნარებლად და შეუძლებელად მიგვაჩნდა, რადგან ვერ დაგვეჯერებინა, რომ მღვდელ მთავარს, საქართველოს სულიერს მწყემსსა და მამას ასეთი ბრძანება გაეცა მისდა რწმუნებულ სამღვდელოებისათვის, ბრძანება, ყოვლად მავნებელი და გამათახსირებელი ადამიანის სარწმუნოებრივის გრძნობისა, რომელსაც დიდად სათუთად და ფრთხილად მოკიდება უნდა და რომლის განმტკიცება აქვს მის მეუფებას დავალებული ღვთისაგანაცა და მთავრობისაგანაც.

არა გვჯეროდა და ჩვენი დაუჯერებლობა ყოვლად მართალი აღმოჩნდა. დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ დღეს ჩვენს გაზეთში იმ ამბავს, რომ მისს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს ვლადიმირს ქართულად უწირავს წმ. დარიის ფერისცვალების მონასტერში, რითიც აღტაცებაში მოუყვანია ამ დღეს წირვაზედ მრავლად დამსწრე ღვთის-მოსავი ქართველი მლოცველები. ეს ამბავი სრულიად აქარწყლებს და უარ-ჰყოფს გავრცელებულს ხმას ქართულად წირვის გარდახდის აღკრძალვისას; ეს ამბავი ნათლად ჰმოწმობს, რომ საქართველოს მწყემსთ-მთავარი სრულიად მოწადინებულია სარწმუნოების ჩვენში განმტკიცებას, ჭეშმარიტი ღვთის მსახურია და ათვსებს კიდეც, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენას მრევლისათვის. ვიმეორებთ, ამ მხრივ ჩვენ არც აქამდე გვქონია ეჭვი, რომ ეს ასე იყო, მაგრამ ეს ამბავი თუ აღვნიშნეთ ასეთის სიამოვნებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ამიერიდგან ეს მაგალითი მწყემსთ-მთავრისა კრიჭას შეუკრავს ზოგიერთს მღვდლებს, რომელნიც ქართულად წირვა-ლოცვის გადახდას ერიდებიან და თავსაც ჰმართლულობენ, ნაბრძანები ასე გვაქვსო.

ეს მაგალითი ამკარად ამტკიცებს, რომ საქართველოს მწყემსთ-მთავარი, თუმცა შთამომავლობით სხვა ერის შვილია, სრულიად მისდევს მოძღვრებასა უფლისასა, რომელიც ჰღაღადებს: „თითოეულსა კაცად-კაცადსა მათსა ესმას დიდება ღმრთისა ენითა მათითა“ (საქმე მოციქ., 2. 6, 11).

დასასრულ მივმართავთ ჩვენს მღვდელ-მსახურებს, რომ მიჰბაძონ ამა კეთილსა და გონიერსა მაგალითსა მწყემსთ-მთავრისასა და არა დაივიწყონ სიტყვანი წმ. მოციქულისა პავლესანი, რომელი ამბობს, ეცადეთ ენითა ერისათა იტყოდეთ, რათა არგოთო მათ, ვინაიდგან „ენისა მიერ უკეთუ არა გამოცხადებულად სიტყუაჲ იგი გამოჴსცეთ, ვითარ საცნაურ იქმნეს თქმული იგი? რამეთუ იყვენით ვითარცა ჰაერსა მეტყუელნი. ეგრეთვე უსულოთა მათ ხმა გამოჴსციან, ანუ თუ ნესტჳმან, ანუ ებანმან, უკეთუ განცხადება ხმათა მათ ვერ გამოჴსცენ, ვითარმე საცნაურ იქმნეს სტჳნვაჲ იგი ანუ ებნაჲ?“ (ა. კორინ., 14.7, 9). დიახ, სამშობლო ენას ყოვლად დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო ეკკლესიაში, რადგანაც თუ ყურმა ვერა ისმინა, ვერცა გული ჰყოფს ხმასა უფლის სიტყვასა.

ფარნაოზი

## დეპეშა

6 აგვისტო *)

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხანკოუს და კიახტის ჩაი ბლომად იყიდება, ნაკ-

*) ეს დეპეშა არ ვიცით რა მიზეზით გუშინ ჩვენ სულ არ მოგვსვლია. რედ.

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

მაღლის რჯულზედამც მომკვდარა,
ვინც კაენს მიეფერება,
ვინც მოღალატე იუდას
მეგობრად მიეკარება,
ვინც იმათ მმობას გაუწევს,
ძმაგად გადეფარება,
ვინც იმათ სალამს აღირსებს,
ვისც მათთან დაეტარება.

დ. მაჩხანელი

### ინგლისის საზოგადო ცხოვრება

სეზონის დამთავრება. — საერო გართობანი. — პავშვების მატარებლები. — საზოგადოება ყველგან ფრთას ისხამს. — კლუბები.

ლონდონი არისტოკრატებისა, ფინანსისტებისა, მეცნიერებისა და მოსწავლეებისა თანდათან იცლება. სეზონი დამთავრდა; სასწავლებლები და სამეცნიერო საზოგადოებანი დასვენებასა დღესასწაულობენ; ყველა ცოტად თუ ბევრად შეძლებული გარბის ამ უშველებელის ქალაქიდგან ზღვისაკ შოტლანდიის ვალისის მთებისაკენ, ხოლო შეძლებულნი მოგზაურნი-კი ეტანებიან ნორვეგიის აგარაკებს, შვეიცარიისა და ტიროლის მთებს; მიეჩქარებიან ქვეყნის სხვა-და-სხვა მოშორებულ ადგილისაკენ იმ გვარად, თითქოს დიდი საქმე აქვთ, თავიანთს მოვალეობას და სამსახურს რასმე ასრულებენო; ნამდვილი მიზეზი მოგზაურობისა-კი ის არის, რომ ჰსურთ მოიშორონ ლონდონის ჭვარტლი და ნისლი, ნაღვლიანობა და მოწყენილობა აქაურ სასტუმროებისა და გულ-ჩათხრობილ ბიურო-კანტორებისა...

კარგია, ვისაც დაბადებითვე ქუდბედი დაჰყოლია და დროებით მაინც შეუძლიან გაინავარდოს თავისუფლად, დასტკბეს მთათა, მინდორველთა და ზღვათა ჰაერის ყნოსვით. მაგრამ მრავალ-რიცხოვანმა ღარიბმა და მუშაკმა ხალხმა რაღა უნდა ჰქმნას?.. ის როგორ-ღა სტკბება ზაფხულის მშვენიერებით? ეღირსება-კი მწვანედ აბიბინებულ ველ-მინდვრისა და შეფოთლილ ტყის ნახვას?..

**

რაც შეეხება მინდორ-ველსა და ტყეს, დიდ ქალაქების მცხოვრებნი ვერც ერთსა და ვერც მეორეს ფიქრადაც ვერ გაიტარებენ. ტყე აქ სულ არ არის, მინდორი-კი შემოღობილია. მაგრამ ამ უტყეო ქვეყანაში დიდ-ძალი ხეხილი იპოვება, რადგანაც ყველა ქუჩის პირი, ქალაქის განაპირა ადგილი, მუშათა სადგომების ეზოები მოფენილია ხეხილით. საითკენაც უნდა გაიხედოთ ევროპის ყოველ ქალაქს გარეთ, ასე გეგონებათ, რომ რამდენისამე ათის საჟენის იქით ტყე იწყებაო, მაგრამ თვალი გატყუებთ მხოლოდ: ეზოებისა და ქუჩის პირების ხეხილები სჩანს ასე. კერძოდკი ლონდონი სავსეა პაწია ბაღებითა და ბაღჩებით და მწვანე მინდორით, რომელიც ბურთისა, კრიკეტისა და სხ. სათამაშოდა აქვთ შენახული.

ძნელად წარმოსადგენია, რომ შუაგულს ქალაქში ამოდენა ადგილი ჰქონდეს დათმობილი პარკსა და ბაღს. ჰაიდპარკს, რეჟენის, ვიქტორიას, სანტ-ჯემის, ბოსტერზენს, ჰოლლანდსა და ფინსბურის პარკებს 800 დესეტინამდე ადგილი უჭირავთ, ხოლო ლონდონის რიჩმონდსა, კიუსა (საბოტანიკო ბაღია), ვიმბლადონსა, გამდონ-კორტსა, კრისტალ-პალასსა (ბროლის სასახლე), ალექსანდრპალასსა და გამსტადში 40 ოთხ-კუთხ ვერსამდე *) აქვთ დათმობილი ბაღებსა, პარკებსა და მდინარეებს. თუმცა თვალით განუზომელს სივრცეს შეადგენს ეს ადგილი, მაგრამ ექვს მილიონ მკვიდრისათვის ბევრი არ არის. ამას გარდა, დიდრონი ბაღები ისე მოშორებულია ამ უშველებელ ქალაქის შუაგულს, რომ იქ წასვლა და დაბრუნება ერთი შილინგი (47 კაპ.) ჯდება, და ღარიბის კაცისათვის-კი ეს იაფი არ არის.

შეუძლებელს ხალხს ჰშველიან და ეხმარებიან საზოგადოებანი, კავშირნი და კლუბები. დადგება თუ არა მაისის თვე, ქალაქისა და უბნების უმთავრესს ქუჩებში მოჰქროლავს უშველებელი ეტლები, რომელშიაც წყვილ-წყვილად სიგრძით შებმულია ან ოთხ-ოთხი, ან ექვს-ექვსი უშველებელი ცხენი. ყოველს ეტლში ჰზის 18-დგან 25 სულამდე, რომელთა შორის ერთ-ერთი მაინც კორნეტპისტონს, ან სანადირო საყვირს უკრავს. ჟრიამულითა და სიმღერის გალობით მისდევს ეტლი ეტლს, ხშირად ათობითა და თორმეტობით, ქალაქ გარეთ მყოფ სასეირო და სა-გასართობო ადგილებისაკენ. ეს კლუბებია პაწია ვაჭრებისა, ნოქრებისა და მოსამსახურეთა და თავიანთს ოჯახებს ართობენ, დროს ატარებინებენ. ღარიბი ხალხი და ცოტა შემძლე მუშაკაცნი, რომელთაც თავიანთვის ცალკე აქვთ დაარსებული კლუბები და კავშირნი, ურიგდებიან გემ-ხომალდებსა, რკინის გზებსა და ომნიბუსებს და ისე მიდიან. კვირა-დღეებში ქალაქის განაპირად მდებარე ბაღ-პარკები სრულიად გავსებულია ხალხით. ლონდონის საერო გასართობ-შესაქცევარი ადგილები სწორედ ისე არის გამართული, რომ დიდ-ძალი ხალხი უნდა დაიტიოს. მარტო კრისტალპალასში, სადაც ამას წინად კონცერტი იყო გამართული და 3,000 მემუსიკე უკრავდა, ყოველ დღეს, სულ ცოტა, 80,000 კაცზედ ნაკლები არ მივა. დიდი საზოგადოება დაესწროო, მხოლოდ მაშინ იტყვიან ხოლმე, როდესაც ბაღში თავს მოიყრის 120-დგან 200 ათას კაცამდე.

მაგრამ ესეც კმარა, გასართობ-შესაქცევარ ადგილების შესახებ მეორედ მოვილაპარაკოთ.

**

ყველაზედ მოსაწონი საერო გართობა, რასაკვირველია, სასწავლებლე-

*) თვით ლონდონს თავისის უბნებითურთ 252 ოთხ-კუთხი ვერსი ადგილი უჭირავს.

ლებად ფასობს შარშანდელთან შედარებით; რუსული მაუდი ჯერ-ჯერობით არ იყიდება, ყომრალი მაუდი იყიდება 73—83 კაპ., საუკეთესო ხარისხისა-კი—87—88 კაპ.

**პარიჟი.** ისპანიის მთავრობამ აცნობა საფრანგეთისას, რომ ბარცელონში სამს ანარქისტს მინდობილი აქვთ დინამიტით, ან ხანჯლით დიუპუის მოკვლაო. პოლიციამ კიდევ საფრანგეთში მიაგნო ახალს კვალს შეთქმულობისას, რომელსაც საგნად ჰქონია დიუპუის მოკვლა.

8 აგვისტო

**პეტერბურგი.** დღეს სამხედრო სასწავლებლებიდგან სწავლა-დამთავრებული აფიცრები გამოვიდნენ.

**ლონდონი.** ინგლისის მთავრობამ ზღვაში გასვლა აღუკრძალა ზოგიერთს ხომალდს, ინგლისის ნავთსადგურებში ჩინეთისათვის სამხედროდ საჭირო საქონლით დატვირთულთ. იაპონია შინვე სესხად იღებს სამხედრო საჭიროებისათვის 50 მილ. დოლარს. ამ სესხის საქმე ძალიან კარგად მიდის.

# ახალი ამბავი

*** ექვს ივლისს, როგორც გვაუწყებენ, დარიის ფერის-ცვალების მონასტერში მწირველად ყოფილა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმერი. მწყემსთ მთავარმა ქართულ ენაზედა სწირა თურმე; წირვას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია.

*** სოფ. ნორიო (ტფილისის მაზრა): ნორიოსა და მარტყოფში კვირა-უქმეობით წირვა-ლოცვა ქართულის გალობით არის ხოლმე. საზაფხულოდ წამოსულნი მოსწავლე ქალები და ვაჟები გალობენ. თუმცა დიდის მადლობის ღირსია ეს ახალგაზდობა, მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ უფრო კარგი იქნებოდა, საგალობლად ყოველთვის წინდაწინ მოემზადებოდნენ, რადგანაც გალობა, რომელსაც ხალხი დიდის ყურადღებით ისმენს, ხანდახან ეშლებათ. აგრეთვე ეშლებათ კილოც, „უფალო შეგვიწყალე“-ს მაგალითებრ, რუსულს ჰანგზედ ჰგალობენ.

*** ამ დღეებში ერთმა წევრმა ტფილისისველოსიპედთა საზოგადოებისამ ბ-ნმა კტიტორევმა 5 დღეს მოიარა თურმე კახეთი ვილოსიპედით და გაიარა $481\frac{1}{2}$ ვერსტი, მხოლოდ ერთს დღეს-კი თიონეთში დაჰყო. გაზ. კავკაზის სიტყვით, ტფილისიდგან იგი გასულა დილის 4 საათზედ და თიონეთში ნაშუადღევის 2 საათზედ მისულა (78 ვერ.) მეორე დღეს თიონეთში დარჩენილა, მესამე დღეს დილის 5 საათზედ თიონეთიდგან გასულა და საღამოს 7 საათზედ ლაგოდეხში მისულა, სადაც ამ რიგად უვლია: მდ. ალაზანს გავიდა თურმე შაქრიანის ხიდზე, გაიარა სოფ. ყვარელი და სოფ. ზემო-გავაზი (137 ვერ.) მეოთხე დღეს კტიტორევი დილის 8 საათზედ წავიდა ლაგოდეხიდგან ზაქათალას, სადაც დაჰყო 1 საათი, და ისევ ლაგოდეხში დაბრუნდა, საიდგანაც სადგურ წნორას გზით წავიდა დედოფლის წყაროზედ. დედოფლის წყაროზედ საღამოს $5\frac{1}{2}$ საათზედ მივიდა თურმე ($137\frac{1}{2}$ ვერ.) მეხუთე დღეს კტიტორევი წამოსულა დედოფლის წყაროდგან, გაუვლია სადგური მაჩხაანი და სიღნაღ-ტფილისის გზა-ტკეცილით ჩამოსულა ტფილისში. ამ გზის გამოვლისათვის მოუნდომებია, დილის 4 საათიდგან საღამოს $5\frac{3}{4}$ საათამდინ (129 ვერ.) ამ რიგად $47\frac{1}{4}$ საათის განმავლობაში კტიტორევს $481\frac{1}{2}$ ვერსი უვლია ველოსიპედით.

** ბორჯომი: 7 აგვისტოს აქ ერთი უბედურება მოხდა. კვირა საღამოს, 11 საათზედ, მჟავე წყლის მახლობლად, სასტუმროს პირდაპირ, წყლის პირას ხევ ქვეშ სიბნელეში თოკით თავი ჩამოირჩო ხეზედ ახალგაზდა ყმაწვილმა აფიცერმა, გვარად გეიდემანმა. როგორც ამბობენ, მიზეზი სიყვარული ყოფილა. უბედურისათვის დიდიხანია ერთს ქალს ჰქონოდა პირობა მიცემული, მოგთხოვდებიო, მაგრამ შემდეგ უარი უთქვამს. უბედურს ჯიბეში წერილი ჰქონდა ბ—ის ქალის სახელობაზედ. როგორც ამბობენ, იმავე დღეს ყმაწვილი ქალი და კაცი ვარანცოვის ბაღში ყოფილან საქეიფოდ, სადილის დროს გეიდემანს ამოუღია რევოლვერი და სდომებია თავის მოკვლა, მაგრამ ქალს წაურთმევია ხელიდგან.

*** სოხუმი. აქ საშინელი გვალვა იყო, რის გამოც სიმინდი და თამბაქო, რაც ერთად-ერთს ცხოვრების წყაროს შეადგენს აქაურ მკვიდრთათვის, დაზარალდა და შარშანდელის ნახევარი-ღა თუ მოვა.

*** იქიდამვე. სოხუმის ქალების პროგიმნაზიას მეოთხე კლასს უმატებენ.

*** აფხაზეთი. აქ მშვენიერი თამბაქო იცის. მცოდნენი ამბობენ, რომ სოხუმელი თამბაქო, თუ სჯობია, თორემ არ ჩამოუვარდება თვით უპირველესი თათრის თამბაქოსაო. მიუხედავად ამისა, თითო ოროლა კაცი, რომელიც აქ თამბაქოთი ჰვაჭრობს, ყოველთის ამ ვაჭრობისაგან ზარალშია. რათა? რათა და იმისთვის, რომ ვაჭრობის უნარი არა გვაქვს და საქმის გაძღოლა არ ვიცით!..

*** იქიდამვე. აქ, სადაც-კი სოფლები დასახლებულნი არიან, ადგილი აღარ არის, რომ მოსახლეთ მოემატოს კიდევ ვინმე. არის ზღვის მოშორებით ერთი ადგილი, რომელსაც ფსხუ ეწოდება და რომელიც სხვა სოფლებზედ 80 ვერსზედ დაშორებულია: აქ თუმცა ადგილი ბევრია, მაგრამ ამ სოფელს გზა არა აქვს და ამისათვის დასახლებას ვერა ჰბედავენ. არ იქნება ურიგო, რომ ამ გზას როგორმე გაიყვანდნენ და ვისაც დასახლება უნდათ, იქ დაასახლებდნენ.

*** რამდენად დაცემულია ჩვენში მეურნეობა და რა ცუდად სარგებლობენ ჩვენი მკვიდრნი იმ უხვის მოსავლით, რომელსაც სულ ცოტა შრომის შემდეგ მდიდარი ჩვენი ბუნება იძლევა, სხვა უკვე აღნიშნულ გარემოებათა გარდა, აქედგანაც აშკად დაინახავს ყველა: „ივერიის“-მე 168-№-ში იყო დაბეჭდილი საინგილოდგან გაგზავნილი კორესპონდენცია, რომლიდგანაც სჩანს, რომ ფუთს აბრეშუმს ადგილობრ სხვა-და-სხვა მხრის ხალხი შვიდ-შვიდს მანეთად ჰყიდულობს და შემდეგ დიდის სარგებლით დაიბარებენ ხოლმე ფასად გადებულს ფულსაო. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მკითხველისას „ტფ. ფურ.“ მიერ გუშინდელს №-ში მოყვანილს ცნობას, საიდგანაც სჩანს, რომ „ქვემო იმერეთში, სადაც აბრეშუმი ბლომად მოდის, ფუთი აბრეშუმი ადგილზედ 15 მანეთი თურმე ჰღირს. გარეშენი ჰყიდულობენ, ჰგზავნიან ლიონში და ფუთში 80 მანეთს იღებენ. ამ ნაირად ყოველივე ხარჯი რომ გავიდეთ, ფუთზედ 50 მანეთი წმინდა მოგება რჩებათ“.

სად ბრძანდებიან ჩვენნი მეურნენი, რომ ასეთს სარგებლიან საქმეს სხვას ხელში უგდებენ და თვითონ-კი ყურსაც არ იბერტყავენ?!...

*** სამხედრო მინისტრმა წარადგინა უმართებელესს სენატში სამხედრო სამინისტროსაგან შედგენილი ნუსხა იმ ახლად ჯარში გასაყვანთა, რომელნიც წრეულს უნდა იყვნენ მოკრებილნი გუბერნიებში ისე, რომ თანხმად ამ ნუსხისა საგუბერნიო და სათემო სამხედრო ბეგარის საკრებულოთ და საოლქო შტაბმა კავკასიის სამხედრო ოლქისამ უნდა გაანაწილონ საერთო წლიური რიცხვი ჯარში გასაყვან კაცთა თითოეულის გუბერნიებისა და ოლქების კვალობაზე. ზემოხსენებულ ნუსხიდგან, რომელიც გამოცხადებულია „პრავ. ვესტ.“-ში, სჩანს, რომ კავკასიის მცხოვრებთაგან, გარდა ამიერ-კავკასიისა, უნდა გაიყვანონ 1894 წ. 3,043 ახალი ჯარის კაცი, მათ შორის ყუბანის ოლქიდგან—797, თერგის ოლქიდგან—260, სტავროპოლის გუბერნიიდგან—1784, დაღესტნის ოლქიდგან—7, დაღესტნის ოლქიდგან, ამიერ-კავკასიისა (მათ შორის ჩაითვლება ოლქები ქუთაისის გუბერნიისა, ბათუმისა, ართვინისა და სოხუმისა), ყარსისა და შავი ზღვის ოლქიდგან—195.

*** „ნოვ. ობოზ.“-ეს დეპეშით ატყობინებენ, რომ სენატორი კონი 6 აგვისტოს მივიდა ოდესაში, რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს ხომალდ „ვლადიმირ“-ის დაღუპვის გამო დანიშნულს გამოძიებასაო. დაზარალებულთ თავიანთი ს. ჩივარი ზარალის აღდგენის შესახებ, პეტერბურგელ ვექილის ხოლევისათვის მიუნდვიათ.

*** გაზ. „ნოვოე ვრემია“ ამბობს, რომ რეალურ სასწავლებელთა გეგმა და პროგრამა არსებითად იქმნა შეცვლილიო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, მიწად-მოქმედის და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია დააწესოს ოდესაში სააბრეშუმო სადგური განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთისთვის; ამ გვარისავე სადგურის დაარსებას აპირებენ კავკასიაშიაც. გამართვა აღნიშნულის სადგურებისა მინდობილი აქვს ამ საქმის მცოდნეს ვ. ა. ბერტენსონს.

*** 8 ამ თვისას ტფილისის მოვაჭრემ არტემ ალიხანოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ წყლის პირის ქუჩაზე ჩემს სადგურში ჯიბიდგან 400 მან. ფულად და 25 მანეთად ღირებული საათი მამპარესო.

—

**შეცდომის გასწორება**: ჩვენის გაზეთის წარსულს შაბათის მეთაურ წერილის მესამე სვეტის დასაწყისში დაბეჭდილია: „ამიტომ იქ სამართლის შოვნა იმის მეასედადაც არ არის ძნელი, როგორც ჩვენში, სადაც ორჯელ-სამჯერ ოცი, ორმოცი ვერსი უნდა გაიაროთ, რომ ერთი პატარა საქმე გააკეთოთ“. ამ წინადადებაში შეცდომით ჩამატებულია სიტყვები „ორჯელ-სამჯერ“.

---

ბისათვის დადგენილი სეირნობაა და რკინის გზის მატარებლები, რომელიც განსაკუთრებით ბავშვებისა და იმათის აღმზრდელებისათვის არის მომზადებული. ამ სეირნობასა ჰმართავენ სასწავლებლების სამზრუნველო კომიტეტები, საზოგადოებანი და კერძო კაცნიც. დილიდგანვე მიჰყავთ ბავშვები ქალაქ გარეთ ბაღებში, სადაც უმასპინძლდებიან ჩაითა და სადილით. მთელს ამ დღეს ბავშვები თამაშობასა და მოძრაობაში ატარებენ. როდესაც ასეთი ყმაწვილების მატარებელი დაჰვარტლულს, ნაღვლიანს რკინის გზის სადგურზედ შემოჰქანდება ხოლმე, საქმიან, მოუსვენარ და ჩუმ ხალხს შორის, ეს ამბავი სწორედ ნამდვილი დღესასწაულია, მაისის მზის ბრწყინვალე სხივთა მთელი ძნა არის, ნისლ-ბურუსსა და უამინდობაში გამოჩენილი... ათასობით ბავშვის ხმა, იმათი გალობა, ჟღრიამული, ხარხარი გაისმის; ვაგონების ფანჯრებიდგან ბავშვის პაწია ხელები იქნევენ ხელსახოცს, დროშებს, ქუდებს... და საქმიან საზოგადოების დაღვრემილი სახე გაბრწყინდება ხოლმე, თვით წარბ-შერჭმულს ადამიანსაც-კი ღიმილი და სიხარული გადაეფინება სახეზედ, და ბავშვის სალამს ისიც პასუხს აძლევს, ხალხიც იწყებს ხელსახოცებისა და ქუდების ქნევას. მაგრამ გაჰქროლა მატარებელმა და ყველანი სჩქარობენ ქალაქის რკინის გზების სხვა-და სხვა მხარეს მსრბოლელ ვაგონებისაკენ წასვლას, ყველა ისევ თავისს საქმიანობას უბრუნდება: მატარებელმა ლოდინი არ იცის, ზოგიერთს სადგურში დღეღამეში 900-დგან 1,200 მატარებლამდე ჩაივლის ხოლმე.

**

პარკ-ბაღებს უმეტესად ინახავენ კერძო საზოგადოებანი ხელის-მოწერით მოგროვილის ფულითა და შეწირულებანით. ამ ბაღში დადგმულ სკამებსაც კერძო საზოგადოებანივე აკეთებენ უსასყიდლოდ, საქველ-მოქმედოდ. ფრინველები და იშვიათი მცენარეულობანი, რომლითაც შემკულია ეს ბაღები, კიდევ სხვა საზოგადოებათ მოაქვთ... ყველგან საზოგადოების კვალი სჩანს, ყველაფერს კერძო მეთაურობა ეტყობა. რასაკვირველია, ვერსად შეჰხვდებით ფრანგთა აბეზარს მომყვან ოფიციალურ დადგენილება-განკარგულებათ და ვერცა ჰნახავთ ვერსად ევროპაში ასეთს მშვენიერს ბაღებსა, პარკებსა და სასეირო ადგილებს. საზოგადოების ყოველ წრეში, ყველგანა აქვს ფესვი გადგმული საზოგადოებრიობას, ურთიერთობას, თავისის ნებით დაარსებულს თავისუფალს კავშირ-საზოგადოებას. ვსთქვათ-კი? კლუბი—ეს ინგლისის აწინდელი კომუნა, უფლებისა და ქონების გამათანასწორებელი ერობა—თავისის წიგნთ-საცავებით, ბანკებითა, იურისტებითა და აგენტებით თანდათან უფრო იპყრობს და იქვემდებარებს ცხოვრებას ინგლისელისას, ხოლო ამ ბოლოს დროიდგან ინგლისელ-ქალისასაც, ვინაიდგან უკვე მრავალი არსებობს დედათა ამხანაგობა, საზოგადოება და კლუბი.

**

კლუბი მისის აწინდელის სახით ინგლისის სისხლი და ხორცია და არსად არა აქვს ისეთი საზოგადო, დიდი მნიშვნელობა, როგორც აქა. რა-კი ამორჩეული ხართ კლუბის წევრად, ამ თავითვე გარდასახდელი ფული შეიტანეთ და ყოველ წლივაც შეგაქვთ ეს გარდასახადი, თამამად შეგიძლიანთ თქვენის კლუბის შემწეობით აწარმოოთ თქვენი საქმეები, სულ ერთია, იურიდიული იქნება იგი, საფინანსო, საპოლიტიკო, საზოგადო, წიგნების გამომცემლობისა, თუ სამეცნიერო მოღვაწეობისა. ლონდონში ათასობით არის კლუბი, სხვა-და-სხვა აზრით დაარსებული, სხვა-და-სხვა მნიშვნელობისა. გაუზვიადებულად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ყოველი ცოტად თუ ბევრად წერა-კითხვის მცოდნე ინგლისელი უბრალო, მუშისა და ქუჩების მგველიდგან დაწყებული, უეჭველად რომელსამე კლუბს ეკუთვნის. ტყუილად კი არ არის უკვდავის დიკენსის „პიკვიკ-კლუბის წერილები“—ეს მარგალიტი ინგლისის ოხუჯობისა—ისე ეროვნული, ისე შეუდარებელი და ისეთის სავსებით აღმნიშვნელი ჯონ-ბულის თვისება-ხასიათის კრებისაცა და ავისაც...

მკითხველი რომ უკეთ მიხვდეს ლონდონის კლუბების სიმდიდრეს—სულ ლონდონში ასამდე კლუბია,—ზოგიერთ ამ კლუბის შესახებ მცირეოდენს ცნობებს გავუზიარებ.

აგერ აფიცერთა და მოხელეთა კლუბი. „შეერთებულ უწყებათა კლუბი“ პალ-მალში თითოეულს წევრს ერთ-ჯერობაზედ ახდევინებს 32 გირ. სტერლინგს *) და წლიურადაც—10 გირ. სტერლინგს. სამაგიეროდ წევრებს იაფად უჯდებათ სასმელეულობა და საუცხოო სადილი. შუადღისას შეუძლიანთ საუზმე სჭამონ ერთი ორად იაფად, ვიდრე მეორე-ხარისხოვან სასტუმროებში. ჩინებული როსტბივი და ბიფშტექსი თითო შილინგა ჰღირს. ასეთივე ფასები აქვს დადებული საღამოს სადილებსაც. კლუბებს აკრძალული რომ არა ჰქონდეთ სტუმრების, უცხო ხალხის მიყვანა, აქამდე ზღვასავით მიაწყდებოდა ხალხი. ამ კლუბს 1600 წევრი ჰყავს.

პალ-მალშივე დაარსებულს კლუბს „ჯარსა და ფლოტს“ 2,000 წევრი ჰყავს, ერთს ჯერობაზედ თითოეულს წევრს ახდევინებს 40 გირ. სტერლინგს. კლუბის შენობა 106,000 გირ. სტერლინგადა ჰღირს და 10,000 გირ. სტელინგზედ მეტად ავეჯეულობა აქვს დამჯდარი. მთელს ლონდონშია განთქმული ამ კლუბის ღვინოები, მეტადრე შამპანური. ძალიან არ ჩამორჩება ამას მეორე კლუბი—„სამხედრო-საზღვაოსნო“, ხოლო ყველაზედ საუკეთესო სამხედრო კლუბი თავისის აუარებელის სიმდიდრით „გვარდიის კლუბია“, რომელსაც მთელს ქვეყანაზედ საუკეთესო ღვინოები და განსაკუთ-

*) გირვანქა სტერლინგი ერთი თუმანია.

# კორესპონდენცია

—

**ს. ბასილეთი** (გურია), 7 აგვისტო. ეს სოფელი ერთ დიდ საზოგადოებად ითვლება: 700 კომლამდე მცხოვრებია. შედარებით, აქ უფრო ჯანმრთელი ჰაერია, რადგანაც მაღალის მთის ახლო მდებარეობს. ციებ-ცხელება აქ იშვიათად იცის. მოსავალი საკმაოდ მოდის, თუმცა მაღლარის ვენახის ღვინო ნაკლებად, მაგრამ სამაგიეროდ „ოდესის“ ვენახის ღვინო უხვადა გვაქვს.

ამ საზოგადოებას აქვს, ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სადაც ყოველ წლობით არა ნაკლებ ასის მოსწავლისა სწავლობს. მაგრამ ეს მოსწავლენი დიდ გაჭირვებაში არიან: წმიდა ვასილის ეკკლესიიდგან სკოლამდი ორი ვერსტის მანძილი იქმნება. უმეტესი რიცხვი მოსწავლეებისა ამ გზით დადის სკოლაში და ეს გზა-კი იმდენად ცუდია, რომ, წარმოიდგინეთ, ზაფხულობითაც, როცა ყველგან მშრალია, აქ წელამდის ტალახი სდგას, ზამთრობით ამ გზაზედ მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია. არც მოსავლელი აქვს, რომ სხვა გზით შემოუაროს გამვლელმა. და მიუხედავად ამისა მოსწავლენი იძულებულნი არიან იარონ სკოლაში დანიშნულ დროზედ. ამის გამო, ვინ იცის, რამდენს მოსწავლე ბავშვს მოსძულებია სწავლა და თავი დაუნებებია სასწავლებლისათვის.

ერთმა ჩვენმა კეთილის მყოფელთაგანმა, სთხოვა ჩვენის მაზრის უფროსად მყოფს ბ-ნს სოკოლსკის, რომ შემწეობა აღმოეჩინა და ადგილობრივ მამასახლისისთვის დაევალებინა ამ გზის გაკეთება; მოუვიდა კიდეც მამასახლისს მოწერილობა, მაგრამ ამ მოწერილობას და ბრძანებას მამასახლისმა ჩაილურის წყალი დაალევინა და დახედვითაც-კი არ დაუხედნია გზისთვის! ჩვენში, მზრუნველობის მაგივრად უმთავრესი ადგილი უჭირავს მსუქან-მსუქანის ბეჭების თლას და ბახუსის თაყვანისცემას. დიდს შემწეობას და სიკეთეს აღმოუჩენს უპატრონო და გაჭირვებულ მოსწავლეთ, ვინც ეცდება და ამ გზას ცოტა მაინც შეაკეთებინებს...

ბასილეთელი

# რუსეთი

—

ამ ჟამად ფოტოგრაფიას ასწავლიან, როგორც არა სავალდებულო საგანს, მხოლოდ გზათა საინჟენერო ინსტიტუტში, მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტსა და ლოძინის სამრეწველო სასწავლებელში. ეხლა რუსეთის გაზეთების სიტყვით, მთავრობას განუზრახავს ფოტოგრაფიის შესწავლა შემოღებულ იქმნას ყველა უმაღლესს და საშუალო სამხედრო სასწავლებლებში და გარდა ამისა, განზრახვა აქვთ დააარსონ განსაკუთრებული სასწავლებელი ფოტოგრაფიისა, რომელშიაც ამ საგანს მეცნიერულად ასწავლიან.

—

მთავრობას განზარახვა აქვს დააწესოს ,,სრულიად რუსეთის შეერთებული საქველ-მოქმედო ლურჯის ჯვარის საზოგადოება''. ამ საზოგადოებას საგნად ექნება შემწეობა აღმოუჩინოს ხალხს, როცა დიდი უბედურება რამ შეემთხვევა, მაგალითად, ცეცხლი დააზიანებს, სიმშილობა ეწვევა, სეტყვისა და სხვა უბედურებათა გამო გაღატაკება, წყალდიდობის დაზიანება და სხ. იგივე საზოგადოება უნდა დაეხმაროს დაობლებულ სახლობათ გადამდებ ავადმყოფობის დროს.

# უცხოეთი

—

**გერმანია.** ევგენი რიხტერი სწერს „Freisinnige Zeitung-ში, რომ სურვილის განსაკუთრებულის კანონების აღდგენისა კრებების აღკრძალვით და შევიწროებით იქნებოდა ახალის მიმართულების უდიდესი სისულელე, იმის შესახებ თუნდა არა ვსთქვათ-რა, რომ იგი აშკარაა დაარღვევდა კონსტიტუციის დებულებასაო. რიხტერი—სასტიკი წინაამდღეგია სოციალიზმისა და ღრმად დარწმუნებულიც არის, რომ ყოველი პატიოსანი კაცი ასე უნდა მოიქცესო, მაგრამ იგი საჭიროდ ჰხედავს განაცხადოს, რომ ის გზა, რომლითაც სურთ კრისპი ატარონ ზოგიერთ ჰკუის ძალის დამტანებელთ მთავრობის მომხრეთ, არის გზა ცდუნებისა და ამ გზით მოსიარულეთ სურვილი გაუცრუვდებათო. 1878 წელს შემოღებულმა კანონმა აშკარად დაგვიმტკიცა, რომ შევიწროვება და დევნა მხოლოდ უფრო ძლიერად ავრცელებს სოციალ-დემოკრატიულ აზრებსაო. ამასთან ამ იდეათა და ანარქიზმის შორის დიდი განსხვავებაა. კონსერვატორთ უკანასკნელ წლებში იმდენი რამ აღმოიკითხეს რიხტერის თხზულებათაგან სოციალიზმის საწინაამდეგო აზრები, რომ ეხლა იმისი სრული ნდობა აქვთო. კრებების შევიწროების კანონს გამოიყენებენ განსაკუთრებით ოპოზიციის წინაამდეგ, ხოლო პოლიციის უბრალო მოხელეთ უფლება მიეცეთ თავის ნებით აღკრძალონ კრების გამართვა, უკანონიერ მიზეზოდ, მაშინ ეს კანონი უბრალო, სულელურ ფარსად გარდაიქცევაო. გაიხსენეთ საქსონიის ჟანდარმი, რომელმაც განაცხადა ერთს კრებაზედ, რომ ნებას ვერ მისცემს ორატორმა „ტემების“ შესახებ სთქვას რამეო, ანუ რეინელი პოლიციის კომისარი, რომელმაც კრება აღკრძალა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა ორატორმა ფრიდრიხ დიდის წერილებიდგან ამოღებული ადგილები წაიკითხა. ეს ისეთი თვალ-საჩინო, ისეთი საფრთხილო მაგალითებია, რომ ძნელად დასაჯერებელია, გონიერმა, ჩაფიქრებულმა ადამიანმა ხელი შეუწყოს ამისთანა წესების გავრცელებას გერმანიაშიო.

## პასუხად ბ-ნს აკაკის.

ჩვენს „პაწია სამაგიერო-“ს ბატონმა აკაკიმ პასუხი გასცა «კვალის» ოც-და-მეათე ნომერში სათაურით „არ ცოდნა, არ ცოდვააო“. სწორედ მოგახსენოთ, სხვა ვინმე რომ გამომპასუხებოდა ამ სახით, ყურადღებას არ ვათხოვებდი, მაგრამ აკაკი და უყურადღებობა! ეს ხომ მიუტევებელი, მამაკვდავი ცოდვა და უკადრისობა იქნებოდა. ესეც რომ არ იყოს, აკაკი ისეთს არაფერს დასწერს, რომ მოხერხებული შემთხვევა არ მოჰცეს შენის აზრის გასაზიარებლად, გამოსამზევებლად. ისე გაჰკრავს კვესსა, რომ თავისს ტალსაც ნაპერწკლებს გააყრევინებს და შენც მადაზედ მოგიყვას, შენს ტალსაც ბანი მიაცემინო და ნაპერწკლების კონცერტი გააჩაღო. ისიც-კი საბოდიშოა ჩემის მხრივ, რომ პასუხი დავაგვიანე. ერთმა საარაკო სიბრმავემ ხალხის განათლებაში დროით გაძღოლა მოინდომა და იმან დამაგვიანა. იმედი მაქვს აკაკი ამ საბუთს შეიწყნარებს და გულნაკლი არ დარჩება ჩემზედ პასუხის დაგვიანებისთვის.

ჩვენი სახელოვანი პოეტი ზმნაში „ალგიარო“ პირის მაჩვენებელს ასოს „გ“ ნებას არ აძლევს ადგილი იცვალოს, სიტყვის თავში მოექცეს და ასეთი სახე მიიღოს: გალიარო. ეს უკანონობაა, დამახინჯებააო, ბრძანებს. სრულიად სხვა ნაირად ფიქრობს მთელი აღმოსავლეთის საქართველო (და იქმნება ბევრნი დასავლეთ-საქართველოშიაც). კაი ხანია ამ ასოსათვის ნება მიუციათ ამიერ ქართველებს მეორე ადგილი დაეტოვებინა და სიტყვას სათაურში მოჰქცეოდა. იგინი ამბობენ და სწერენ: ვალიარე, ვალიარებ, გალიარებ, მალიარებ, მალიარეპს, გალიარო, მალიარო, მალიარო!, მალიარე, ვალიარებდი, მალიარებდა. მაგრამ იქნება აკაკი იყოს მართალი და მთელი ნახევარ საქართველო მტყუანი? სიმართლის აღმოსაჩენად შევადაროთ ფორმები: ახალი მალიარე და ძველი ალმიარე, მალიაროს—ალმიაროს, ვალიარე—ალვიარე. თქვენც დამეთანხმებით, რომ მეორე ფორმა უფრო ძნელი გამოსათქმელია და ამას გარდა ორ-აზროვანია, რადგანაც იმასაც ნიშნავს, რომ ახლო ამიარე, ამიაროს, მთა ავიაროვო და სხვანი, პირველს ფორმას-კი ერთად-ერთი აზრი აქვს. თუ ესრედ წოდებულს სტილის ფილოსოფიას მივმართავთ, ისიც ამ ახალის ფორმის მოსარჩლე გამოდგება. ზმნაში ყველაზედ დიდი მნიშვნელობა პირის მაჩვენებელს ასოს ანუ მარცვალს აქვს; თუ იგი სიტყვის თავშია მოქცეული, ეს ნამდვილი ღირსებაა ენისა, რადგანაც პირველსავე წამს შეიტყობთ, რომელ პირის ზმნასთანა გაქვთ საქმე და აზრს სწრაფად იგებთ. ამის გარდა საგრამატიკო ანალიზი მოსწავლეთათვის ძლიერ ადვილდება, როცა პირის მაჩვენებელი ასო თავში ზის და არ არის მოქცეული შუაში. ასე რომ პედაგოგიური მოსაზრებაც ჩვენ მიერ ნახმარ ფორმას ამართლებს.

ბატონი აკაკი კი სასტიკად უარჰყოფს ამ ახალს ფორმას და მხოლოდ ძველი ფორმა მიაჩნია კანონიერად. რა საბუთით? ერთად ერთი საბუთი მოჰყავს: საღმრთო წერილში ასეა ნახმარიო. ჩვენ კი ვიცით ეს საბუთი, ყველანი მრწამსში ბავშობიდგანვე ვკითხულობთ: „ალვიარებ ერთსა ნათლისღებასა“. მაგრამ საღმრთო წერილის ენაზედ მეათე საუკუნიდგან აღარა სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დავუბრუნდეთ. ხომ მთლად დამარხვა მოგვინდება ახლანდელის ცოცხალის ენისა ლიტერატურასა და საუბარში? ლოცვებში ვკითხულობთ: მომეც ჩვენ დღეს, ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა და სხვანი. ახლა კი ვამბობთ და ვსწერთ: მოგვეც ჩვენ დღეს, ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა. ნუ თუ უკანასკნელს ცოცხალს ფორმაზედ ხელი უნდა ავიღოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ძველად ასე არ იხმარებოდა? განა ეს ათი საუკუნით უკან გადახტომა არ იქნება?... არც ერთი აქეთური მწერალი არ შემხვედრია, რომელსაც განცვიფრება არ გამოეცხადებინოს, რომ აკაკიმ უკანონოდ ჩარიცხა ჩემგან ნახმარი ფორმა: ეს ფაქტი ცხადი მოწამეა იმისი, რომ „გალიარო“ ჩემი შეთხუზული ჩიქორთული კი არ არის, არამედ მთელ ამიერ საქართველოში მიღებულია.

ამასთანავე საფუძვლიანობით მიწუნებს აკაკი ფონეტიკურს ანალიზს

---

რებით არაყი და ლიქორები აქვს. ამ კლუბში ბანქოს ძალიან დიდს ფულზედ თამაშობენ. ამბობენ, რომ ამ კლუბის ერთმა ხელის-მოსამსახურემ სამსახურს თავი დაანება, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩემის ღირსების დამამცირებლადა ვსთვლი ვემსახურო კლუბის ზოგიერთს წევრებს, რომელნიც ბანქოს ვერცხლის ფულზედა თამაშობენ და არა ოქროს ფულზედაო... გაგიგონიათ სადმე, მკითხველო, ასეთი გულ-ზვაობა ხელის-მოსამსახურისა? ეს განსაკუთრებით ინგლისელის უგუნურება და ყოყჩობაა და ამისთანას ვერსად ვერას შეჰხვდებით. თუ ინგლისელი თავდაჭერილი კაცია—იმისი ხელის-მოსამსახურეც ჩუმია, ბლაგვ-გონებიანი და იმისი გახევებული სხეული, იმისი გაპარსული პირი ისევე ხმელია და მოუხეშავი, როგორც იმისის გახამებულის პერანგის გული. ამბობენ, რომ ერთის საფინანსო-საარისტოკრატო კლუბის უფროსს ხელის-მოსამსახურეს ისე ჰქონდა სახეზედ შეყინული მოსამსახურული გულ-ზვაობა და ყოყჩობა, რომ არც ერთხელ არ გაუღიმნია თავისს ხანგრძლივ სამოსამსახურო მოღვაწეობის დროს განმავლობაშიო...

სამხედრო კლუბებს ისეთი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც საპოლიტიკო კლუბებს.ყოველს დასს მრავალი ასეთი კლუბი აქვს დაარსებული, განსაკუთრებით-კი ლიბერალთა და რადიკალთა დასებს. მაგრამ ეს კლუბები ღარიბები არიან და თუ დიდი მნიშვნელობა აქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საპოლიტიკო მიმართულებით შეერთებულნი და შეკავშირებულნი არიან მისნი წევრნი. სამაგიეროდ რამდენიმე საპოლიტიკო კლუბი მართლა რომ საშინლად შეძლებულია, განსაკუთრებით კლუბი «რეფორმა» (ლიბერალებისა), ,,კარლტონი'' (კონსერვატორებისა), ვაიტოლ-კლუბი (ყველაზედ ადრე დაარსებული), ატენეუმი (საპოლიტიკო მეცნიერებისა), კლუბი მოგზაურთა და სხვანი.

რეფორმის კლუბში იყრიან თავს პოლიტიკოსები. იგი ქებულია თავისის მშვენიერის მოწყობილობითა და სადილებით. მთავარ-მზარეულს წელიწადში 1.000 გირ. სტერლინგი აქვს ჯამაგირად. ამ კლუბის მარმარილოს სასახლეები, იმისი დარბაზები საუკეთესოდ ითვლება მთელს ლონდონში. ის ოთახი, რომელშიაც კლუბის ბილიარდები სდგას, 17 საჟენის სიგრძისა მაინც იქნება. რადგან იგი საპოლიტიკო კლუბია, ამიტომ იმის წევრთ ნება აქვთ თან სტუმრებიც მიიყვანონ და ამბობენ, რომ ბევრი დამოუკიდებელი კაცი კლუბის პოლიტიკოსთა აზრს ეთანხმებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კლუბში საუკეთესო სადილები იციანო. სამაგიეროდ ატენეუმის კლუბში, რომლის წევრებადაც პოლიტიკოსებივენი არიან, გარეშეს არავის აძლევენ შესვლის ნებას. აქა ჰმუშაობენ მეცნიერნი და ჟურნალისტები პოლიტიკაში. კლუბის წიგნთ-საცავში 100,000-ზედ მეტი წიგნია, რომელთა შორის ისეთებიც ურევია, რომ იმისთანა ძვირფასს წიგნებს ბრიტანიის მუზეიშიაც ვერ იპოვნით. ამ კლუბის წიგნთ-საცავშიაქვთ მომზადებული თავისი სამეცნიერო და საპოლიტიკო თხზულებანი ჯონ მორლეის, ბრაისს, ჰერცოგს არგაილს და ლორდ სოლსბერის. მთავარს ზედამხედველს წიგნთ საცავისას წელიწადში 4,000 მან. ჯამაგირი აქვს.

მაგრამ ყველაზედ შეძლებულნი, დიდად მდიდარი კლუბები კონსერვატორ არისტოკრატებისაა. კარლტონ-კლუბს 1.600 წევრი ჰყავს, ამათ შორის 1.400 დიდად კეთილშობილის გვარეულობისაა. იმისი შენობა 130.000 გირ. სტერლინგად ჰღირს, ავეჯეულობა—15.000 გირ. სტერლინგად, სუფრის მოწყობილობა—17.000 გირ. სტერლინგად. იმ სეზონში, როდესაც წევრნი თავისის ოჯახითა სადილობენ ამ კლუბში, ყოველ დღე 400 მანეთამდე იხარჯება ყვავილებისა და ხილისათვის. იმავე უბანში იმყოფება უძველესი ვაიტოლ-კლუბი, 1698 წელს დაარსებული. ამ კლუბში ისევე დაცულია წარსულ საუკუნის ზნე და წეს-წყობილება. იმის ხომლებში ჯერაც წმინდა სანთელი ანთია; სტეარინის სანთელი, გაზი, ელექტრონი—ყოველივე ეს ფრთა-ფარფატა მე-XIX საუკ. ნაყოფია და კაპიტალიზმისა და კონსერვატიზმის წმიდათა-წმიდაში ფეხს ვერ შესდგამს. ამ კლუბის წევრნი წარსულ საუკუნის მომსწრენი არიან, იმათ უფროსის ხელის მოსამსახურეს სახეს ღიმილი ჯერ არ მიჰკარებია. სწორედ ზღაპრული სიმდიდრე და შეძლება აქვს კლუბს. ერთი მეჯლისი, რომელიც ამ კლუბმა რუსეთის იმპერატორის პატივსაცემლად გაჰმართა, 97.000 მან. დაჯდა!..

**

რომელმამე შორს-განმჭვრეტელმა კაცობრიობის მეგობარმა რომ გაჰბედოს და კლუბის ამ კეთილშობილ, ოქროთი დატვირთულ წევრთა შორის განაცხადოს: თქვენი კლუბები საუკეთესო საბუთია იმისი, რომ მტკიცე ურთიერთობა და თანხმობაა აუცილებლად საჭირო წარმოებასა და ნაწარმოების მოხმარების საქმეში; თვით საქმეთა ვითარება დამაგალითებით გვაჩვენებს, რომ საზოგადო ცხოვრება თანასწორობისა და თანხმობის საფუძველზედ უნდა იქმნასო აგებული,—დიდის შთამომავლობის წევრნი თავაზიანად გაიღიმებენ, თითქოს ამას ამბობენ, მებრალებით, რა ყმაწვილი ყოფილხართო, ძ სიბრალულითვე გაიქნევენ თავს; მოღუშულ-მოღრუბლული ხელის-მოსამსახურენი ეჭვის თვალით დაიწყებენ ყურებას და ძვირფასს სუფრის მოწყობილებას უთვალთვალებენ, იმ ფიქრით, კი არ მოიპაროსო, და უშველებელი კარის-კაცი-კი მოემზადება, რომ კისერში ჰკრას ხელი და ქუჩაში გაუძახოს ურცხვსა და თამამს სტუმარს კლუბისას.

W. Vasiani

ლონდონი

ხსენებულის სიტყვისასა. ჩვენ იგი დავანაწილეთ, ანუ დავშალეთ ამ სახით: აღ-გ-იარ-ებ. პირველს ნაწილს დავარქვით პრეფიქსი, მეორეს პირის მაჩვენებელი, მესამეს ძირი სიტყვისა, მეოთხეს დაბოლოება დროისა. აკაკი ბრძანებს: „აღ" რის პრეფიქსია, როდესაც იგი წარმოსდგება სიტყვიდგან „აღმა". აბა სხვა პრეფიქსებსაც მიჰყევით რჯულამდის, იარეთ სათავემდის და ისინიც სიტყვებისაგან აღმოჩნდებიან წარმომდგარნი. მაშ ესენიც პრეფიქსებად აღარ უნდა ჩავრიცხოთ და სხვა სახელი უნდა დავარქვათ. ამ გადანათვლაში დიდი ნათლია მოგვინდება და იძულებული ვიქნებით მოვიწვიოთ აკაკი და ვთხოვოთ ამ უსახელო ნაწილებს სიტყვებისას ახალი სახელი მოუგონოს და მეორედ მონათლოს. ჯაფა დიდი მოუნდება, იქმნება ახალი სახელი ვერც-კი გამოუძებნოს; მაგრამ თავისს თავს დააბრალოს, დავა თვითონ ასტეხა.

უფრო დიდი და აშკარა შეცდომა მოუვიდა აკაკის, როდესაც მან სიტყვის ძირად აღიარა არა „იარ", არამედ „რებ». რასა ჰქვიან სიტყვის ძირი? იმ ნაწილს სიტყვისას, რომელიც არ იცვლება, რა რიგი ფორმაც უნდა მისცეთ სიტყვას. განა მარცვალი «ებ" უცვლელია საცილაო სიტყვაში? სრულიადაც არა. იგი ბევრს ფორმაში სრულიად იკარგება, რის გამოც დღესავით ცხადი ხდება, რომ იგი მხოლოდ ლიტონი დაბოლოებაა ზმნის დროისა და სხვა არაფერი. მიგალითად ავიღოთ ფორმები: აღვიარე, აღიარე, აღიარო, აღიაროს. რა იქმნა ამ ფორმებში მარცვალი ებ, თუ იგი სიტყვის ძირს ეკუთვნის? მართალია, მარცვალი იარ სხვა ზმნების ძირსაც შეადგენს; მაგრამ ეს მოვლენა ზმნათა შორის ხშირია. ერთისა და იგივე ძირის ზმნებს სრულიად სხვა-და-სხვა მნიშვნელობა ეძლევათ სხვა-და-სხვა პრეფიქსის ანუ სათაურის და სუფიქსის ანუ დაბოლოების დართვით. აშკარაა, ამ შემთხვევაში ძლიერ უმტყუნა აკაკის ენის აგებულობის ცოდნამ, ნახტომი მეტად შეეშალა და უცოდინარობა-კი ჩვენ გვიკიჟინა ისეთის რიხით, თითქო ჩვენი შეცდომა და თავისი ცოდნა მათემათიკურის აქსიომასავით ცხად ეყოს. მაინც დანაშაულებად არ უნდა ჩაუთვალოთ, რადგანაც თვითონვე აღიარა სათაურში, რომ ჩემი არ ცოდნა ცოდვა არ არისო.

არც თავისი შეცდომების გამართლებაში იჩენს ჩვენი აკაკი ამაზედ მეტს საფუძვლიანობასა. მისი ფრაზა: დედა-მიწის ზურგზედ ადამიანზედ უფრო უსამართლო და გაუტანელი ცხოველი არ მოიპოვება, ჩვენ დავიწუნეთ და ამ გვარი სახე მივეცით: „ადამიანზედ უფრო უსამართლო და გაუტანელი არსება (ან სულიერი) არ მოიპოვება დედამიწს ზურგზედ" აკაკი ამართლებს თავის კონსტრუქციას იმ მოსაზრებით, ვითომც ქართული ენა თხოულობდეს, რომ შესმენილი იქმნას ხოლმე მოქცეული წინადადების ბოლოში. დიაღ, მართალია ქართული ენა ითხოვს შესმენილით გათავდეს ფრაზა, მაგრამ რომელი ფრაზა? მარტივი, მოკლე. გრძელს, ვრცელს ფრაზებში-კი შესმენილს შუა ადგილი უჭირავს და არა ბოლო, და ეს დიდი ღირსებაა ჩვენი ენისა. მოგეხსენებათ, რომ წინადადებაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს შესმენილს, რომელიც ამ მხრივ სჭარბობს თვით ქვემდებარესაცა. შესმენილი ხშირად მარტოდ მარტო ადგენს წინადადებას, ქვემდებარეს-კი ეს არ შეუძლიან. ამის გამო რამდენიც უფრო ზევით არის მოქცეული შესმენილი წინადადებაში, იმდენი უფრო ადრე იგებ აზრსა, რამდენიც ქვემოდ, იმდენი უფრო მეტს ხანს რჩება თქვენი გონება გაუნუსაზღვრელს მდგომარეობაში. ამ მოსაზრების ძალით გერმანული კონსტრუქცია, რომელიც მოითხოვს შესმენილის ხმარებას ბოლოში, რაც უნდა ვრცელი ფრაზა იყოს, ყველას მიაჩნია ნაკლულევანებად გერმანულის ენისა და ამ ნაკლს უნდა მიეწეროს ერთის მხრივ ის მოვლენა, რომ გერმანელთა აზრი მოკლებულია ჯეროვანს სიჩქარესა, სიმკვირცხლესა, და მეორედ ჰმოქმედებს. ფრანგული ენა უფრო თავში აძლევს ადგილს შესმენილსა, ჩქარა ატყობინებს ადამიანს, რაშია საქმე, და ძლიერ ეხმარება აზროვნების ჩქარსა და სწორე მიმდინარეობას.

აკაკის რომ ეს თვისება ენისა არ დავიწყებოდა, შესმენილის მოქცევას სულ ბოლოში არ მოინდომებდა და თავის პირველსავე ფრაზას არ დაიწყებდა წინადადების იმისთანა წევრით (დედამიწის ზურგზედ), რომელსაც ისეთი მცირე მნიშვნელობა აქვს მსჯელობაში, რომ უიმისოდაც აზრი სრული გამოდის... სიტყვა „დედამიწის ზურგზედ" მის ფრაზაში ცოტათი აძლიერებს, საზღვრავს აზრსა და უგებს კითხვაზედ: სად არ მოიპოვება? განა ბევრი ფიქრი უნდა, რომ აზრი წინ უნდა უძღოდეს თავისს განსაზღვრულს, განმაძლიერებელსა და არა უკანასკნელი უნდა უსწრობდეს პირველსა?

შესმენილით ფრაზის დაბოლოებას კეთილ-ხმოვანება მოითხოვსო, ბრძანებს აკაკი. კარგი, ვშინჯოთ. ავიღოთ ფრაზები: აკაკი პოემასა სწერს, აკაკი წერილს კითხულობს. მოვაქციოთ ახლა ამ ორს წინადადებაში შესმენილი შუაში და შემავსებელი ბოლოში: აკაკი სწერს პოემასა, აკაკი კითხულობს წერილსა. პირველ შემთხვევაში ფრაზები თავდება უხმო ასოებით, მეორეში—სრულ ხმოვანის ასოებით. აქ ბოლო სრულხმოვანია, იქ უხმო, ყრუ. რომელი უფრო კეთილ ხმიანია? რასაკვირველია მეორე შენობის ფრაზები.

იტალიური ენა ითვლება მეტად კეთილხმოვანად უფრო იმის გამო, რომ ყოველი სიტყვა ბოლოვდება ხმოვანის ასოთი და უხმო დაბოლოება ძლიერ ეუცხოვება. ამის გამო ეს ენა ხმაურობს სრულად და არა ყრუდ, მთლად და არა ნახევრობით და ეს თვისება ენისა ძლიერ სასიამოვნოა ადამიანის ყურისათვის, რადგანაც სრული ხმა მხოლოდ ადამიანის კუთვნილებაა, მაშინ, როდესაც უხმო ხმები, ან ნახევარ ხმები ცხოველთა სამეფოში ისმის და პირუტყვულის მდგომარეობის მომასწავებელია.

ამ სახით, მოკლე წინადადებაში ქართველები შესმენილს ბოლოში ვაძლევთ ადგილსა არა კეთილ-ხმოვანებისათვის, არამედ ენის ბუნების მოთხოვნილებით. ხოლო ეს ბუნება ისეთი ვიწრო და ჯიუტი როდი არის, რომ იუაროს შესმენილის გადასმა შუაში და რადგანაც ამ გადასმას მოითხოვს აზრის სწრაფად გაგებაც და კეთილ-ხმოვანებაც, ამიტომ შემდეგში შეიძლება ჩვენის ენის კონსტრუქცია შეიცვალოს მოკლე ფრაზებშიაც და ამ ცვლილებით, მერწმუნეთ, არაფერი არ გაფუჭდება, როგორც არაფერი არ გაფუჭდა იმითი, რომ რუსული ენა ბევრში ასცდა სლავიანურს კონსტრუქციას. ახლაც ამისთანა პროცესს ვხედავთ ჩვენს ენაში, ხშირად ლაპარაკშიაც და წერაშიაც შესმენილს შუაში ვატანთ და მისს შემავსებელს ბოლოში. რაც შეეხება დიდს, ვრცელს ფრაზებსა, წინედაც და ახლაც ჩვენი ენა შესმენილს ხმარობდა და ხმარობს შუა ადგილს, თანახმად სტილის ფილოსოფიის მოთხოვნილებისა. ავიღოთ, მაგალითად, შემდეგი ფრაზა: აკაკიმ, სახელოვანმა პოეტმა საქართველოისამ, დასწერა მოკლე ხნის განმავლობაში, პოემა, სავსე მაღალი აზრით და გრძნობით. სტილის ფილოსოფია გვეტყვის, რომ ამ ფრაზაში სიტყვები დალაგებულნი არიან თითქმის იდეალური წესით და რიგით. პირველი ადგილი უჭირავს ქვემდებარეს, რომელსაც მისდევენ მხლებელი სიტყვები, მეორე ადგილას ვხედავთ შესმენილს თავისი გასამზვრელებით და მესამე ადგილი დათმობილი აქვს შემავსებელს შესმენილისას, რომელსაც თან ახლავან თავისი განმარტებითი სიტყვები. ამავე დროს ამ ფრაზას ვერავინ ვერ უკიჟინებს რომ იგი წმინდა ქართულის აგებულობისა არ იყოს.

აკაკის ზემოდ მოყვანილს ფრაზაში კი მხლებელს შესმენილისას (არ მოიპოვება სად? დედამიწის ზურგზედ). ბოლოდგან უსკუპნია, გადამხტარა არამც თუ თავის ბატონს შესმენილზედ, არამედ ქვემდებარესა და მთელს ფრაზაზედ, ვამოჰიმულა თავში და სამი დიდი ბატონი უკან მოუქცევია. ეს იმასა ჰგავს, რომ ხარს კუდი მოსჭრა და შუბლზედ მოაბა... განა დიდი ხუმრობა ჩაუდენია ჩვენს აკაკის?

ერთის სიტყვით, პირველივე ფრაზა ჩვენის პოეტისა კოჭლობს სამის მხრივ: სიტყვების რიგი არეულია, კუდი თავად გარდაქცეულა, კეთილ-ხმოვანება (დედამიწის ზურგზედ ადამიანზედ) დარღვეულია და შეუსაბამოდ არის ნახმარი სიტყვა «ცხოველი», ნაცვლად სულიერისა, ან არსებისა.

ი. სიმონიძე

(დასასრული იქნება)

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის" მე-132 №-ში დაბეჭდილ ბ-ნ ბოცვაძის ფელეტონში სხვათა შორის მოხსენებულია: „გუბნელოვს უკვე აუგია საკუთარის საფასით სკოლისათვის მშვენიერი აგურის შენობაო". სიმართლე მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ მოზდოკში განზრახულის სკოლის შენობა შეერთებულის ღონით ააგეს: გუბნელოვმა, ეგოროვმა, ზუზინოვმა, კონჩუხიძემ, მარცველაძემ და პეტროვმა და არა მარტო ი. ფ. გუბნელოვმა, როგორც ბორცვაძესა აქვს ნათქვამი.

მ. ჭყონია

ქ. ოზურგეთი

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვტოს

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდვისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,45 | 7,48 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 148½ | 149½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 239¾ |
| —მეორისა | 225 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 190½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ც. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

რადგან 21 ივლისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, მსროლელთა მეორე დრუჟინა ხელ ახლად მოიწვევს იმათ, რომელთაც სურთ და უფლებაცა აქვთ აიღონ იჯარით დრუჟინისათვის მოტანა ხორცისა, კარტოფილისა, ხახვისა, მარილის და სხვ. საჭირო სანოვაგისა, რაც-კი საჭიროა ჯარის გამოსაკვებად, აგრეთვე ნავთისა 1894 წლის 1 ოქტომბრიდგან 1895 წლის 1 ოქტომბრამდე ქ. გორში, განცხადება კონვერტში დაბეჭდილი უნდა გამოიგზავნოს ქ. გორს, დრუჟინაში 9 სეკტემბრამდე.

ვაჭრობა განუმეორებლად იქმნება ამ წლის 10 სეკტემბერს, დილის 10 საათზედ, ქ. გორში, დრუჟინის კანცელიარიაში, სამეფო ქუჩაზედ, ალექსანდრე ლამბარაშვილის სახლში. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ამავე კანცელიარიაში.

(3—2)

ტფილისის საქალაქო მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში შესასვლელად ყმაწვილი უნდა იყოს ხნით 13½—18 წლისა, მაგარი აგებულებისა და უნდა იცოდეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის კურსი.

სასწავლებელში ასწავლიან: მეინკლისა, დურგლისა, თუჯ-რკინა-თითბრის ჩამოსხმულ ნივთების კეთებასა და მჭედლის ხელობას.

თხოვნასთან დირექტორის სახელზედ წარმოდგენილი უნდა იყოს დაბადებისა და ყვავილის აცრის მოწმობანი.

ბავშვების მიღების შესახებ თხოვნის მემოცვანა შეიძლება ყოველ დღე, 8 საათიდგან 4 საათამდე.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოს.

(3—1613—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა | „ | 20 |


Дозволено цензурою Тифлисъ, 9-го Августа 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.